ხუთშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 28 № 229
ხუთშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 28 № 229
წლიწადი მეოთხე
ფასი ტფილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დემონსტრაციები იმართება. მოითხოვენ დამფუძნებელ კრების მოწვევას.

ინგლისის ჯარი რეინზე წინ მიიწევს.

საფრანგეთის ჯარი სტრასბურგში შევიდა.

უკრაინაში მღელვარება იზრდება. აჯანყებულებმა ყველგან საბჭოები აღადგინეს. ძალა-უფლება პეტლიურას ხელში გადადის.

კიევში გაფიცვებია.

ბაშკირებს და ყაზახობას უთანხმოება მოუვიდათ. ბრძოლის დროს ბაშკირებმა 900 კაცი დაჰკარგეს.

დავით, ლუარსაბი და ივანე ოტიას ძენი დადიანები, ეკატერინე ოტიას ასული კობაკიძე, ნინა ოტიას ასული ერისთავისა და ანნა ოტიას ასული მდივანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი დედის

დარია ლუარსაბის ასულის დადიანის
(დაბადებით ჩოლოყაშვილი)

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე პარასკევს 29 გიორგობისთვეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შუადღის 1-ნახ. საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

(1—1891—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა 70 წლების მხცოვანი მოღვაწე

დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე
(„მეველე")

(2—2)

გულდათუთქულნი შვილები: ანნა ანტონის ასული ყავრიშვილისა, ნადეჟდა, ოლღა და ალექსანდრე ანტონის ძენი ყიფიანები, სიძე ნიკოლოზ იოსების ძე ყავრიშვილი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის დედის

ელისაბედ ზაქარიას ასულის
ყიფიანისას.

ცხედრის წამოსვენება სად. მარელისიდან თბილისს და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1892—2)

შვილნი წილოსანისა, ნინო და ანტონ არჯევანიძეები შვილებით, ნიკოლოზ და ალექსანდრა ქართველიშვილები, მარიამ, თამარი და გიორგი, ვახტანგი და ეკატერინე ქართველიშვილები, ეფემია და ლევან ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფ. ტყვიავში 22-ს გიორგობისთვეს

ქეთევან გიორგის ასულის
ქართველიშვილისას

გამოსვენება ვაგზლიდან დიდუბის ეკლესიაში ოთხშაბათს 27 გიორგობისთვეს დილის 11-ნახ. საათზე, დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში ხუთშაბათს, 28-ს. წირვის დასაწყისი დილის ათ საათზე.

(2—1893—2).

განცხადება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო ნაწილის

საქონლის გამცვლელ კომიტეტისაგან

საქართველოს საზღვრებიდან თუთუნის გატანის წესრიგზე.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 16 ნოემბრის დადგენილებისა შემუშავებულია შემდეგი წესრიგი საქართველოს საზღვრებიდან თუთუნის გატანისა:

1. გაზიდვა თუთუნის ნაწარმოებთა, რომლებზედაც გადახდილია სააქციზო ბეგარა, აღმოსავლეთის საზღვრებით აზერბეიჯანში და სამხრეთით სომხეთში შეუძლიანთ თუთუნის მეფაბრიკეთ, რომელთაც დაუბრკოლებლივ მიეცემათ ნებართვა უპირობოთ.

ხოლო გაზიდვა თუთუნის ნაწარმოებთა სხვა და სხვა პირთა მიერ, აგრეთვე გაზიდვა სხვა საზღვრებიდან, ექვემდებარება საერთო წესს საქონლის გაცვლისას.

2. გაზიდვა ფოთლობითი თუთუნისა საქართველოს ყველა საზღვრებიდან ხდება მხოლოდ, ჩვენთვის საჭირო, თანასწორი ღირებულების სამაგიერო საქონლის შემოზიდვის პირობით.

ნებართვა ფოთლობითი თუთუნის გაზიდვისა მიეცემა ყველა მხურველს, ვინც წარმოადგენს საკმარის საწინდარს, რაიცა უზრუნველჰყოფს სამაგიერო საქონლის შემოტანას.

საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარე დ. აფხაზი.
საქმეთა მმართველი გ. ჯანელიძე.

ქართული კლუბი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

კვირას, 1-ლ ქრისტეშობისთვეს დილის 11 საათზე

შესდგება

პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა

კრება

მოხსენებებით გამოვლენ პარლამენტის წევრნი:

სპირიდონ კედია
გიორგი გვაზავა
გერონტი ქიქოძე
იოსებ მაჭავარიანი.

მსოფლიო სიყალბე

ამერიკიდან დეპეშა მოვიდა: „დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიის მდივანმა ლანიელსმა განაცხადა, რომ ხალხთა ლიგა და იარაღის აყრა მომავლის საქმეა, ხოლო ამ ჟამად საჭიროა გაძლიერება სამხედრო ფლოტისა თანახმად სამი წლის პროგრამისა, რომლის ძალით უნდა აშენდეს 10 ზედრედნოტი, 6 კრეისერი და 140 სხვადასხვა სამხედრო გემი".

ამ დეპეშის წაკითხვაზე მართლმორწმუნე პასიფისტებს და ფანტაზიორებს გული გვცემათ.

ნიადაგი გაშტერებისა და გაოცებისა კარგად მომზადდა გერმანიასთან დადებულ სასტიკი პირობებით და იმ გეგმებით, რომელნიც აქამდის გამარჯვებულთ ჯიბეში ედოთ, ხოლო ეხლა თითო თითოდ შლიან წინაშე გაცემულთა და გაბრიყვებულთა. ოთხ წელიწადში ქვეყანა ისე არ დაყრუებულა ზარბაზნების ქუხილით, როგორც დაყრუვდა და გაბრუვდა ყალბი სიტყვებისა და ლოზუნგების გრიალით. ამ გრიალში სხვებზე უფრო მძლავრად სჭექდა ხმა ამერიკის პრეზიდენტის ვილსონისა: ერთა თვითგამორკვევა... მათი განთავისუფლება, სამართალი ქვეყანასა ზედა... ხალხთა შორის სათნოება... სამუდამო მშვიდობა... უკანასკნელი ომი... და საყოველთაო იარაღის აყრა. ეს ლოზუნგები და ადამიანი ერთ დღეს დაიბადნენ და მას აქეთ ერთად დაიარებიან დედამიწის ზურგზე. ამ ლოზუნგებით იყო გაჭენილი ყოველი თოფი და ზარბაზანი საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს და ეხლანდელ მსოფლიო ომის დროსაც. ეს სიტყვები ეწერა მაშინდელ და ეხლანდელ დროშებზე, რომელთაც თავის სიწმინდით დაჰფარეს ნამდვილი სახე მხეცისა და პირუტყვისა.

ეს მხეცი დროშას მხოლოდ გამარჯვების შემდეგ ჩამოაცლის ხოლმე და ქვეყანას ურცხვად და აშკარად მოევლინება ანექსია და კონტრიბუცია, დავლა და მონობა, ცარცვა-გლეჯა და ბატონყმობა, ე. ი. უკანასკნელი და სრული ფორმა იმ მუდმივისა და ყოველად გარდუვალი კანონისა, რომელსაც ჰქვიან ბრძოლა არსებობისათვის. ეს კანონი ყოველთვის და ყოველგან იყო, არის და იქნება ღერძი ცხოვრებისა, მისი ერთად ერთი შინაარსი, დასაბამი და დასაწყისი, სტიმული ყოველივე განვითარებისა და შერჩევისა.

იარაღი და მეთოდი ამ შეურიგებელ ბრძოლისა ათასია, ხოლო ათასპირველი და უკანასკნელი — ომია.

ვაი იმ ერს, რომელიც მართლა დაიჯერებს სამუდამო მშვიდობას და იარაღს დაჰყრის ან მას დააჟანგებს, ადრე თუ გვიან მტერი ასეთ ერს დროს უხელთებს, დასცემს, დაიმონებს და მოსპობს.

ყოველთვის ასე ყოფილა: რაც უფრო მეტს ლაპარაკობენ ზავისა და მშვიდობის შესახებ, იმავე დროს უფრო მეტს იარაღს ისხამენ, მეტს წამალს აშრობენ და მახვილს კარგად ლესავენ. ვილჰელმი რომ მშვიდობაზე ამოიღებდა ხმას, ევროპაში იცოდენ, რომ იგი ახალ კორპუსს ამზადებდა, და ამიტომ იქაც მაშინვე ახალ კორპუსების შედგენას შეუდგებოდნენ ხოლმე. ვილჰელმი აღარ არის. მილიტარიზმის ბუდე დაინგრა. ერთმა მოპირდაპირემ იარაღი დაჰყარა, ხოლო მეორე, ყბლამდის შეიარაღებული, ცდილობს თვალებამდის შიგ ჩაჯდეს. ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ ბელადნი პასაფიზმისა მათ მიიღეს გასაყოფად გერმანიის თითქმის მთელი სამხედრო ფლოტი, 10,000 ზარბაზანი, 50,000 ტყვიისმფრქვეველი, 10000 ავტომობილი, ერთი სიტყვით—მთელი იარაღი, მაგრამ მათი დრედნოტების აშენებელი ქარხნები მაინც არ შეჩერებულან და არც შეჩერდებიან. და ქებული, პასიფისტები ვილსონი და ლოიდ-ჯორჯი ისევე ვერ მოსპობენ შეიარაღებას და ომს, როგორც ვერ მოსპოს იგი საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ და რუსეთის ბოლშევიკებმა.

ჩვენ თვალწინ ერთხელ კიდევ მტკიცდება დაბერებული ჭეშმარიტება: ვისაც მშვიდობა უნდა, ის ყოველთვის უნდა მზად იყოს ომისთვის, ან კიდევ მშვიდობა ომით მოიპოვება. საქმით მაინც ამ ჭეშმარიტებას მისდევენ, ემორჩილებიან და ანხორციელებენ არა სოციალისტური პასიფისტებიც და ორივე ჯურის სოციალისტებიც: „ბოლშევიკებიც" და „მენშევიკებიც".

ამასვე იმეორებდა ვილჰელმიც, არც მეტსა და არც ნაკლებს.

ამიტომ ამერიკიდან მოსულმა დეპეშამ არ უნდა გაგვაოცოს. იქ ჩვენზე უკეთ იციან გარდუვალობა, ძალა და მარადისობა ომისა. იქ, ოკეანეს მეორე ნაპირზე ამ ოთხ წელიწადში ოთხი საუკუნით გაიზარდა ახალგაზდა ვეშკაპი—იაპონია, რომელმაც ადრე თუ გვიან მის გარშემო გაფანტულ კუნძულებს უნდა დაადგას ფეხი. იციან და ემზადებიან. ისიც ზღაპარია, ვითომ 80 მილიონი გაერთიანებული ავსტრო-გერმანელი სამუდამოდ მოისპო და სათვალავში აღარ არის ჩასაგდები. ესეც კარგად იციან საფრანგეთმა და ინგლისმა, ამიტომ სპობენ ისინი კრუპის ქარხნებს, მაგრამ წინანდელზე უფრო ძლიერ გააღვივებენ ცეცხლს ამსტრონგისა და შნეიდერის იარაღის ქარხნებში.

ეს ასე უნდა ყოფილიყო, ასე ხდება და სხვანაირად არასოდეს მოხდება.

მომავალი იმ ერს ეკუთვნის, რომელსაც ეს მარტივი და მარადისი კანონი ყოველთვის ახსოვს.

ხოლო ვაი იმ ერს, რომელიც ივიწყებს ამ კანონს, ებრძვის და შეჰყურებს მას როგორც ლეკვი მთვარეს. ასეთი ერი ყოველთვის მოუმზადებელია ბრძოლისთვის და ადრე თუ გვიან მან ადგილი სხვას უნდა დაუთმოს.

პრესის მაგიერ

ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას სამღვთო სჯულის სკოლიდან განდევნის თაობაზე გამოეხმაურა „ერთობა" და, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ ის „არგუმენტები" განიმეორა, რასაც პარლამენტის ტრიბუნიდან მხნედ იცავდნენ ბ-ნნი ნათაძე, არსენიძე და დოლიძე.

„ერთობა"-ში ახალი მხოლოდ ის არის, რომ, გაზეთი არ უარჰყოფს ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მიდრეკილებას, რაზედაც პარლამენტში სოციალდემოკრატებს კრინტი არ დაუძრავთ.

„თუ კი სარწმუნოება ძლიერია ხალხში, რაღა საჭიროა მისი ხელოვნურად გაძლიერება სახელმწიფოს მიერ?" გვეკითხება „ერთობა".

ეტყობა, „ერთობის" პუბლიცისტები სტრიქონებ-შუა უფრო ეძებენ აზრებს; ერ.-დემოკრატების „დალონება" იმითი კი არ არის გამოწვეული, თითქოს პარლამენტის დადგენილება ხალხში რელიგიის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს, ან და სარწმუნოების დამკვიდრება სახელმწიფოს დაუხმარებლათ შეუძლებელი იყოს!—ჩვენ ვამბობთ: ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა მორწმუნეა და მეტად აღელდება იმ აქტით, რომელიც არსებითათ მიმართულია სარწმუნოების წინააღმდეგ; კიდევ მეტი: დღევანდელს უაღრესად გართულებულს საერთაშორისო და პოლიტიკურ პირობებში საკანონმდებლო დაწესებულება უნდა ერიდებოდეს იმგვარი კანონების გამოცხადებას, რომლის საშუალებით საქართველოს დამოუკიდებლობის უამრავ მტრებს მეტი საბაბი ეძლევათ ხალხში უკმაყოფილების შექმნისა და უწესობისათვის ნიადაგის განმზადებისა. ისედაც საკმაოდ ამღვრეულია ჩვენი პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება, რომ კიდევ ზედ-მეტი მასალა დაერთოს ანარქიის გამოსაწვევად.

ჩვენ ის კი არ „გვაღონებს" მაინცა-და მაინც, რომ სოციალდემოკრატები გაუგებარის აჩქარებით პარტიული პროგრამის მუხლს ასე იოლად ანილდებენ, ჩვენ გვაშინებს მხოლოდ ის გარემოება, რომ სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება ბევრს მითქმა-მოთქმას აღძრავს, რაც ვნების გარდა არაფერს არგუნებს მონობისაგან თავლახწეულს რესპუბლიკას.

პარლამენტის ბრწყინვალე დარბაზში, ან რედაქციის მყუდრო კაბინეტში ერთობ ადვილია საქართველოს მიმსგავსება ამერიკასთან, მაგრამ, დუშეთისა, ან ლეჩხუმის მაზრაში მოხეტიალე ტურისტი ვერავითარ შემთხვევაში მასსაჩუზეტსში მყოფად ვერ იგრძნობს თავს!..

კორრექტული „ერთობა"-ს, მართალიც არ უყვარს... დიდი უყურადღებობაა, როდესაც ათ მარცვლოვანი კლერიკალის ნაცვლად ხუთმარცვლოვანი გლეხი იბეჭდება. ეს მოგვაგონებს დიდი ხნის წინად ორ გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტებს შორის ამტყდარ პოლემიკას, სადაც „რაციონალიზმი" „რაციონად" იბეჭდებოდა...

რ. ინგილო.

პრესსა

სოციალდემოკრატიის ჰეგემონია

„კავკაზსკოე სლოვო" თავისებურათ ხსნის ქართველ სოციალდემოკრატიის ჰეგემონიას ამიერ კავკასიაში. გაზეთის სიტყვით.

„ის უცილობელი ჰეგემონია, რომელიც ქართველმა სოციალ დემოკრატიამ მოიპოვა ამიერ კავკასიის დემოკრატიებს შორის აიხსნება არა მისი ნამდვილი სიძლიერით ამიერკავკასიაში, არა მისი უმწიკვლო სიწმინდით სოციალისტური და დემოკრატიული პრინციპების აღსარებაში, არა მისი მოძღვრების შეგნებულ მიღებაში ქართველ ხალხის მიერ, არამედ იმით რომ ის თავის დროზე იყო ნაწილი დიდი და ერთის შეხედვით, ყოვლის შემძლე რუსული სოციალდემოკრატიისა. ამასთან ერთად ქართველი სოციალდემოკრატიის მეთაურების მომხიბლავი გავლენა ამიერკავკასიაში აიხსნება არა მათი ნიჭით, პოლიტიკური სიბრძნით ან შორს მჭვრეტელობით, არამედ იმ ეფექტიანი როლით, რომელიც ნ. ჟორდანიამ, ი. წერეთელმა, ნ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა შეასრულეს რუსეთის სოციალდემოკრატიის რაზმებში 1905 წლიდან."

რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის დაშლის შემდეგ, გაზეთის აზრით თან და თან შესუსტდა ქართველი სოციალ-დემოკრატების შთამაგონებელი, ჰიპნოტიური ძალა. ამ პარტიის მომავალი კი ისეთია, რომ მას არა თუ ამიერკავკასიაში, თვით საქართველოშიც კი აღარ შეეძლება პირველი როლის ასრულება:

„უეჭველია რომ აგრარული და საერობო რეფორმის დასრულებასთან ერთად მოხდება დიფერენციაცია საქართველოს სოციალდემოკრატიის რაზმებში: მას მოშორდებიან მემარჯვენე წვრილ ბურჟუაზიული და უკიდურესი მემარცხენე ჯგუფები, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ მიიღებს კონსოლიდაციისა და მოქმედებათა მიზანშეწონილობის მხრივ და ქართული პროლეტარიატის პარტიად იქცევა."

ბოლშევიკები კანადაში

ინგლისური გაზეთის „ტაიმსს" კანადის დედაქალაქიდან ატყობინებენ, რომ ახალშენში პოლიტიკური მღელვარება დაიწყო, რომელიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. კანადაში ცხოვრება თანდათან ძვირდება და მუშა ხელი ნაკლებია. ტორონტოსა და მონრეალში გაჩნდნენ ბოლშევიკები და სიტი კოლუმბიას მდგომარეობაც დიდათ საშიშია. ამისდამოუკიდებლად უნდა ითქვას, რომ თვით ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშათა კლასი მთელი ომის განმავლობაში პატრიოტულად მოქმედობდა. მაგრამ თვით მეთაურებს შორის მოიპოვებიან კოსმოპოლიტურად და პაციფიურად განწყობილი ელემენტები, რომელნიც ოპოზიციას ჰქმნიან. ბოლშევიკურმა სულიერმა განწყობილებამ განსაკუთრებით ფრანგი ახალ-

ეროვნული

შენებით დასახლებული ქვემსკის პროვინციაში მიიღო საშიში ხასიათი.

როგორც ცნობილია კანადის მცხოვრებლებში დახლოებით ორი მესამედი ინგლისელია, ხოლო ერთი მესამედი ფრანგი.

ქრონიკა

◆ **დანიშვნა.** დამფუძნებელ კრების მომწყობ კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის წევრი ლომთათიძე დაინიშნა.

◆ **ნავთი.** სასურსათო კომიტეტმა მაქოდან 4 ცისტერნი ნავთი მიიღო. ნავთი ამ დღეებში საოჯახო კომიტეტებს დაურიგდება—4 აბაზად.

◆ **ლიკვიდაცია.** გზათა მინისტრის ბრძანებით გზათა სამინისტროს სალიკვიდაციო ნაწილის ლიკვიდაცია მოხდა და მთელი შტატი ამ ნაწილისა 26 გიორგობისთვიდან დათხოვნილ იქმნენ.

◆ 29 გიორგობისთვის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: აჭარისა და ოზურგეთის მაზრების საზღვრებზე ბაჟები მოიხსნას ყოველგვარ ნაწარმოებზე, ბაჟი დარჩეს მხოლოდ რკინის გზით გასატან-შემოსატან საქონელზე.

◆ **ელექტრონის ენერგიაზე ფასის მომატება.** ქალაქის თვითმართველობის დადგენილებით, ელექტრონის ენერგიაზე ფასი მომატებულ უნდა იქნეს. მომხმარებლები გაიყოფიან 2 კატეგორიად. 1 კატეგორიაში შედიან სახელმწიფო დაწესებულებანი და კერძო ბინები. რომელთაც ერთ კილოვატ ელექტრონის ენერგიაზე უნდა გადაიხადონ 8 მანეთი. 2 კატეგორია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთაც ერთ კილოვატზე გადახდებათ 4 მანეთი.

◆ **შორაპანსა და საჩხერის შუა მატარებლების მოხსნა.** საქართველოს რკინისგზათა სამმართველო ამით ატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ სათბობი მასალის სიმცირის გამო, შორაპანსა და საჩხერის შუა, დანიშნულ მატარებლები № 57 და 58 დროებით შეჩერებულია. ამისდამიხედვით შორაპნიდან № 4 გავა 14-ს 40 წ. საჩხრერიდან № 3 კი გავა 4 ს. 2 წ.

◆ **ერობა.** საერობო საქმეთა მთავარ ინსტრუქტორს დუშეთის საერობო არჩევნების ხელმძღვანელი ატყობინებს, რომ დუშეთის მაზრაში არჩევნები დამთავრდა.

— **თიანეთის მაზრაში** საერობო არჩევნების ხელმძღვანელად დ. ჩხეიძე დაინიშნა, ჩხეიძე უკვე გაემგზავრა თიანეთში მუშაობის დასაწყებად.

◆ **თავდასხმა.** 25 გიორგობისთვეს საღამოს 8 საათზე, ვაჟარ ჩილინგაროვის სახლში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 66, შეიჭრნენ 4 შეიარაღებული პირი, ჩილინგაროვის ცოლმა ყვირილი ასტეხა და ხელი შეუშალა მათ ბოროტგანზრახვის სისრულეში მოყვანას. ყვირილზე მიეშველა მილიციონერი. ბოროტგამზრახველნი გაიქცნენ.

◆ **ნიხრი ნავთზე.** ქალაქის საბჭომ ნავთზე ნიხრი დაადო. კერძო ვაჭრებმა ნავთი 3 მანეთად უნდა გაყიდონ.

◆ **სომეხ ლტოლვილთათვის.** სომეხთა ეროვნულ საბჭომ მაკურიანის ლტოლვილთათვის გადასდო ასი-ათასი მანეთი.

◆ **უკრაინა-კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობა.** ამ დღეებში მოხდა უკრაინა-კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობანი, გამგეობისა და სარევიზიო საბჭოს არჩევნები. არჩეულ იქმნენ გამგეობაში: ნ. ლ. კოვალევსკი, ნ. ს. ძიძიშვილი, ა. ი. გავისტი. სარევიზიო საბჭოში: მ. ნ. სუმცოვი, გ. ზოლოტარიოვი, ნ. ნ. დუბროვი. მდივან-ხაზინადრად არჩეულია ა. გ. გორლინსკი. ამხანაგობის მთავარი მიზანია; ხელი შეუწყოს უკრაინა-კავკასიის შორის ვაჭრობა-მრეწველობის და ალებ-მიცემობის განვითარებას, გაეცნოს ამ ამხანაგობის საშუალებით უკრაინასა და კავკასიის მოთხოვნილებათა და საქონლის გაცვლის საკითხი, მუდმივი დამოკიდებულების შექმნას ამ ორ მხარისა კოოპერატივთა და სავაჭრო დაწესებულებათა შორის და წევრთა ფულის შენახვას და უზრუნველყოფას „ეკლადების“ მიღების სახით. ამ ჟამად ამხანაგობამ უკვე გადასდგა ნაბიჯები უკრაინასთან დამოკიდებულების შესაქმნელად. ახლო მომავალში მიზნად აქვს საქონლის გაცვლის ოპერაციების გაფართოება საქართველოსთან და ასეთივე დამოკიდებულების შექმნა სომხეთისა და ადერბეიჯანთან, გამგეობა დროებით მოთავსებულია „სუდებნია“ ქ. № 33. თუ ვისმეს სურვილი აქვს, ამ ამხანაგობის წესდების, რომელიც დამტკიცებულია თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ, დაწვრილებით გაცნობა შეუძლიან გამგეობაში, შუადღის 12—2 საათამდე.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნება: „სოფლის გმირები“.

◆ **საქართველოს ს. დემოკრატების პარტიაში.** 25 გიორგობისთვეს შესდგა საქ. ს. დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველი კრება, რომელზედაც აირჩიეს პრეზიდიუმი. ფარული კენჭის ყრით კომიტეტის თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ნოე ჟორდანია, ამხანებათ ნოე რამიშვილი და ი. წერეთელი—მოლარეთ ვ. წულაძე პასუხისმგებელ მდივნათ ალექსანდრე ლომთათიძე.

ხმები ბიჩერახოვის შესახებ

მაქოდან ჩამოსულმა სანდო პირმა გადმოგვცა: ბიჩერახოვს ჩამოუხსნია ადერბეიჯანული დროშა, თათრული წარწერები და თავისებურ წესიერების აღდგენას შესდგომია. ამით შეურაცხყოფილ ადერბეიჯანელებს განუცხადებია:—„ჩვენ მეგობრულად მიგიღეთ თქვენ კი მტრულად წესს გვირღვევთო“, რაკი აგრეა, ჩვენ ჩვენებურ წესიერებას აღვადგენთო. შემოურტყავთ ჯარი და ბიჩერახოვი დაუტუსაღებიათ. მეორე ცნობა ასეთია: ბიჩერახოვს მოუკლავს თათარი მედროშე, რის გამოც გენ. ტომსონს შეუნიშნავს: „სადაც ინგლისელია იქ ასეთი წესი ვერ იარსებებსო“ და ბიჩერახოვი გადაუყენებია.

ბათომის ცხოვრება

ბათომიდან ჩამოსულმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი გადასცა.

ქართველების ბედი. ოსმალები შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან. მათი რისხვა მხოლოდ ქართველებზედ მოქმედებს. ყოველი მათი ცდა ქართველების შევიწროებისაკენაა მიმართული. ამ ბოლო დროს მეტად გაცხარდენ და ქართველების დატყვევებასაც კი ხელი მიჰყვეს. ხუთშაბათს 21 გიორგობისთვეს, ოსმალოს ჟანდარმერიას დაუპატიმრებია ექიმი ბ. კონდრატი მხეიძე. ქალაქის საბჭოს მდივანი ბ. გიორგი ელიავა და ბ. დათიკო გიგინეიშვილი. იმ ღამეს დატუსაღებულნი ყოლიათ, ხოლო მეორე დღეს როცა პატიმარნი შეკითხებიან ცნობებინათ მათთვის, მიზეზი დაპატიმრებისა, საპასუხოდ გამოუყვანიათ საპატიმროდან ერთი მათგანი დ. გიგინეიშვილი, რომელიც ალბად შეცდომით ყოფილა დაჭერილი და გაუნთავისუფლებიათ. ბბ. კ. მხეიძე და გ. ელიავა კი ჟანდარმებს მატარებელში ჩაუსვიათ და თბილისში გამოუგზავნიათ. ქალაქის გამგეობას პროტესტი განუცხადებია მათი ასეთი მოქმედებისათვის და უთხოვნია, რომ დატყვევებულნი გაენთავისუფლებიათ მაგრამ მათი თხოვნას ვერ გაუჭრია. ალბად კიდევ ბევრს ქართველს მოელის თბილისში გადმოსახლება.

ოსმალეთის ჯარები. ოსმალეთის ჯარების შესახებ შემდეგი გადმოგვცა: ბათომში თავს იყრის ყველა კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებიდან დაბრუნებული ჯარი. ერთ დღეს რომ სავსეა ქალაქი მეორე დღეს დაიცლება ამათ შეძლებისდაგვარად ზღვით გზავნიან. ბათომის მეცხოვნე ჯარი კი ჯერ ბათომშივე დგას.

ქართველი მაჰმადიანები. ქართველი მაჰმადიანები თითქმის ყოველი მათგანი მოუთმენლად ელის ოსმალეთის წასვლას. როგორც სჩანს მათ იწყნიეს ოსმალოს ჟანდარმერიის კუდიანი მათრახები და აზრი შეიცვალეს. წინად თუ თათრულად ლაპარაკობდენ ახლა მათგან თათრულს იშვიათად გაიგებთ,

გერმანულ დელეგაციაში

გერმანიაში.

გერმანიაში ცხოვრება მშვიდობიანათ მიმდინარეობს.

ჯარები დასავლეთის საზღვრებიდან სრულის წესრიგით ბრუნდებიან.

საზოგადოებრივ დაწესებულებათა უმრავლესობამ საჭიროთ სცნო დამფუძნებელი კრების რაც შეიძლება მალე მოწვევა.

ბერლინის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ მოიწადინა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ ყველა პროვინციულმა საბჭოებმა ეს წადილი დაჰგმეს და დღევანდელი რადიო დეპეშა უკვე გვატყობინებს, რომ თვით ბერლინის საბჭომ მოწოდებით მიმართა ყველა პროვინციულ საბჭოებს, რომ სრული ძალაუფლებით მხოლოდ შეიდემან-ჰააზე-ებერტის მთავრობა უნდა აღიჭურვოს.

მდგომარეობა უკრაინაში

კიევში მყოფ გერმანულ ჯარების უფროსი ატყობინებს გერმანულ დელეგაციას თბილისში, რომ კიევში შედარებით სიწყნარეა, მხოლოდ უკრაინის დასავლეთ საზღვარზედ ანარქიას იწვევენ ჯარის კაცები ტყვეობიდან სამშობლოში რომ ბრუნდებიან.

უმთავრესი გზები გერმანულ უკრაინულ ჯარებს უკავიათ და გერმანული შტაბი ირწმუნება, რომ სულ მოკლე დროში სრული წესიერება აღსდგება.

დღევანდელი რადიო გვატყობინებს რომ შეთანხმების სახელმწიფოთ უკრაინაში მხოლოდ გეტმანის ხელმწიფება უცვნიათ.

ახლო მომავალში უკრაინაში გაიგზავნებიან შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარები, რომელნიც თანდათანობით შესცვლიან უკრაინაში მყოფ გერმანულ ჯარებს. მასთანავე შეთანხმების სახელმწიფონი აცხადებენ, რომ ისინი სასტიკად შეებრძოლებიან ანარქიულ გამოსვლებს.

სად იმყოფებიან ინგლისელები?

იმ დღეებში გერმანული დელეგაცია იუწყებოდა, რომ ინგლისელებს სევასტოპოლში 24 გიორგობისთვისათვის ელოდენ. სად იმყოფებიან ეხლა ინგლისელები გერმანულ დელეგაციაში, არ იციან, ხოლო მათის აზრით ინგლისელები ეხლა ან სევასტოპოლში, ან ოდესაში უნდა იმყოფებოდნენ.

გერმანულ ჯარის ევაკუაცია საქართველოდან

26 გიორგ. სევასტოპოლში გაემგზავრა გერმანელ ჯარისკაცების პირველი ნაწილი. ხვალ ფოთში მოელიან გემს „როდოსტიას“, რომელმაც მეორე ნაწილი უნდა წაიყვანოს.

საქართველოს პარლამენტში

26 გიორგობისთვის სხდომა

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

სამკურნალო აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადება.

წარსულ სხდომაზედ მიღებულ კანონპროექტთა საბოლოო ტექსტის განცხადება და დამტკიცების შემდეგ პარლამენტი გადადის სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადების შესახებ კანონპროექტის განსახილველად.

კანონპროექტი წარმოდგენილია აგრარულ კომისიის მიერ და საჭიროთ სცნობს ყველა აბანოების და სამკურნალო ტალახების სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადებას.

გამოსყიდვა ამ აბანოებისა და ტალახებისა და მათი შეფასება უნდა მიენდოს მიწადმოქმედების მინისტრს, რომელსაც ამავე დროს ევალება მათი მიღება თავის გამგებლობაში, მოვლა პატრონობა და მოწესრიგება ამ სიმდიდრისა.

კანონპროექტი დიდ კამათს იწვევს პარლამენტში და განსაკუთრებით ის მუხლი, სადაც გამოსყიდვის შესახებ არის ლაპარაკი და ამ საკითხის შესახებ პარლამენტში ორი აზრი ტრიალებს.

სოციალ-დემოკრატია და ეროვნული დემოკრატია მომხრენი არიან გამოსყიდვისა, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლიუციონერები ამას შეუძლებლად სცნობენ და მოითხოვენ მათს უსასყიდლო კონფისკაციას. ეს უკანასკნელნიც განსხვავდებიან მაინც ერთმანეთში იმ საკითხში, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს კონფისკაცია. სოც.-ფედერალისტთა ორატორი თევდორე ღლონტი, მომხრეა ჩამორთმეულ სიმდიდრის სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადების, ხოლო სოციალისტ-რევოლიუციონერები კი ითხოვენ „ხალხის ავლადიდებათ“ გამოცხადდეს, მაგრამ არავითარ გარკვეულ ფორმას არ იძლევიან, თუ როგორ უნდა გახდეს ეს სიმდიდრე ამ „ავლა-დიდებათ“ და კონკრეტულათ თუ ვინ უნდა იქნეს მისი მომვლელი და პატრონი.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები რ. გაბაშვილი და მ. მაჩაბელი უსაყვედურებენ სოციალ-დემოკრატებს ულოღიკობას, რომ სოფელში მიწა უფასოთ ჩამოერთვა მემამულეებს, ხოლო ეხლა ქალაქში ჩამორთმეულ-სიმდიდრეში კი სასყიდელს იძლევიან.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი გიორგი გვაზავა სავსებით მხარს უჭერს კანონპროექტს, მაგრამ შესწორება შეაქვს კანონპროექტის იმ მუხლში, სადაც გამოსასყიდ ქონების შეფასებაზედ არის ლაპარაკი, და ამ შეფასებას მიწადმოქმედების მინისტრს ანდობს; ბ-ნ გვაზავას არა სასურველად მიაჩნია, რომ ეს საქმე სავსებით მარტო მინისტრზედ იქნეს მინდობილი და უმჯობესად მიაჩნია ამ ქონებათა შეფასება მიენდოს განსაკუთრებულ კომისიებს, რომლებშიდაც სხვათა შორის ადგილი უნდა ჰქონდეს თვით მეპატრონესაც, რაიც მას მეტ ნდობას მოუპოვებს.

ეს წინადადება უარყოფილ იქმნა, როგორც ყველა სხვა წინადადებანი არა სოციალდემოკრატიული ფრაქციიდან გამოსულნი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორატორი რ. არსენიძე, რასაკვირველია მხარს უჭერდა კანონპროექტს და აღნიშნავდა, რომ სოციალ-ეკონომიურ ძალთა დღევანდელი ვითარების გამო შეუძლებელია სოციალისტური წყობილების დამყარება და ამიტომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ვერ დაადგება იმ გზას, რომელსაც პარლამენტს სოციალ-ფედერალისტები ურჩევენ, და რომელიც განმეორებაა იმ ბოლშევიზმისა რუსეთში, რომ ესოდენ სახარბიელო ნაყოფი გამოიღო.

ხოლო როდესაც დადგება ჟამი—ამბობდა ბ-ნი არსენიძე, როდესაც ყველა სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოშიც ისეთი პირობები დამყარდება, რომელიც შესაძლებლად იქმს ჩვენი სოციალური ცხოვრების ძირეული რეფორმების გატარებისათვის, სოციალ-დემოკრატიას ამ საქმის განხორციელებას ვერავინ დაასწრებს.

ასევე აღნიშნა მიწადმოქმედების მინისტრმა ბ-ნმა ნოე ხომერიკმა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელმაც ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა, კანონპროექტი, თითქმის უცვლელად მიიღეს.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დემონსტრაციები.

გერმანული პრესა. 25 გიორგობ. ცნობაა, რომ გერმანიის სხვა და სხვა ადგილას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დემონსტრაციები გაიმართა. საბჭოთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს, რაც შეიძლება მალე იქმნას მოწვეული დამფუძნებელი კრება და რომ მთავრობა არ უნდა დაემორჩილოს ერთი ჯგუფის დიქტატურას, ან რომელიმე ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

კენისბერგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მოუწოდებს მცხოვრებთ. მოწოდება მიჰმართავს მუშებს და ჯარისკაცთ და ამბობს: „ძალა კი არ უნდა იყვეს ჩვენი მმართველი, მით უმეტეს, პოლიტიკურ უმცირესობის ძალა, არამედ უფლება. თქვენი საღვთო მოვალეობაა, განახორციელოთ ეს უფლება. ნუ დაუშვებთ მას, რომ პოლიტიკურ თხუნელებს შეძლება მიეცეს, გამოთხაროს ნიადაგი რომელსაც ეყრდნობა თქვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ამ ხალხს ჩვენ თამამად შეგვიძლია უწოდოთ ანარქისტები და ბოლშევიკები. თუ ვინ არიან ბოლშევიკები, თქვენ შეგიძლიათ ნათლად დაინახოთ თუ გადახედავთ რუსეთის უბედურ ძმებს. დაგვეხმარეთ ნიღაბი ავხადოთ ამ მატყუარებს და უძლურვყოთ ისინი.

მეოთხე ლაშქრის ჯ.-კ-თა საბჭოს რეზოლუცია

დასავლეთის ასპარეზზე მეოთხე ლაშქრის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავის კატეგორიულ რეზოლუციაში იმგვარივე აზრი გამოსთქვა, რაც ბადენის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც თავის წრიდან გამოყო და შეადგინა ბადენის საგერცოგოს პარლამენტი იმის შემდეგ, რაც ჰერცოგ ფრიდრიხ მეორე ტახტის მემკვიდრე პრინც მაქსის თანხმობით, უარი განაცხადა თავის და შთამომავლობის მხრით სახელმწიფოს მართვის უფლებაზე.

რუსეთ-გერმანეთის დამოკიდებულება

ბერლინში რუსეთის ტელეგრაფის ბიუროს 13 გიორგობას განმარტების გამო რუსეთის საელჩოსა წასვლის შესახებ, ოფიციალურად იუწყებიან, რომ რუსეთის განცხადება, თითქოს შიკრიკს არ ქონია პროკლამაციები და ეს მხოლოდ პროვოკაციაა, დამტკიცებულ ფაქტის გამო, ყოველ კრიტიკას მოკლებულია. თვით რუსეთის ელჩმა იოფემ. როცა დ-რ სოლფმა წარუდგინა მას ფაქტები, ვეღარ უარყო გერმანიაში პროკლამაციების შემოტანის ფაქტი. იოფემ, ისე როგორც რუსეთის მთავრობამ, არა ერთხელ განაცხადა, რომ ბრესტლიტოვის ხელშეკრულების მეორე მუხლი, რომელიც უკრძალავს მათ გერმანიაში პროპაგანდის გაწევას, მის მიერ ყოველთვის დაცული იყო. ამ რამოდენიმე დღის წინათ კი რადეკმა ტელეგრაფის საშუალებით შემდეგი სიტყვებით მიმართა გერმანიის ხალხს: „როგორც იცით. ბრესტლიტოვის ხელშეკრულობის მეორე მუხლი არ გვიკრძალავდა ჩვენ რევოლიუციონურ პროპაგანდის გაწევას გერმანელებს შორის.“ მიუხედავად იმისა, რომ იოფეს გამომგზავრება დაჩქარებით მოხდა, რუსეთის იმავე ტელეგრაფის ბიუროს ცნობით, იოფე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, სათანადო პატივი სცეს. რუსეთში კი ჩვენი გენერალური საელჩო დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს, საელჩოს არქივს და ბაგაჟს კონფისკაცია უყვეს და გაჩხრიკეს.

გერმანიის ჯარი და დრ. ზავის პირობები

დროებითი ზავის ხელშეკრულობაში აღნიშნული იყო, რომ თუ გერმანიის ჯარი დანიშნულ ვადაზე არ დასცლიდა საფრანგეთის და ბელგიის ადგილებს, ტყვეთ ჩაითვლებოდა. მე-11 მუხლის თანახმად იმ დაჭრილებზე და ავათმყოფებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგზაურობა, გერმანიის სანიტარულმა რაზმმა უნდა იზრუნოს. ჯარი, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება და უკან დარჩება, სამხედრო ტყვეებათ ჩაითვლება ავათმყოფნი და დაჭრილნი, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგზაურობა, ტყვეთ არ უნდა იქნენ წაყვანილი. საფრანგეთი ამ ჟამათ მოითხოვს, რომ ყველა დაჭრილი და ავათმყოფი, რომელიც უკან დარჩა, ჩაითვალოს სამხედრო ტყვეთ. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება არა მარტო დროებითი ზავის პირობებს, არამედ ყველა იმ პირობას ამ საკითხზე, რომელიც ომის დროსაც იყო. საფრანგეთის მოთხოვნილება მეტათ მკაცრია და ყოველგვარ ადამიანობას მოკლებული. მთელი გერმანია პროტესტს და გულისწყრომას აცხადებს ამის გამო- გერმანიის ხალხი მიმართავს ნეიტრალურ სახელმწიფოებს და მთელი კაცობრიობის სინდისს.

მოსკოვი. 26 გიორ. (ციაგიკი, ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). დასაწყისი დამახინჯებულია. ნაუენი 25 გიორ. უმაღლეს მთავრობასთან არსებულ აღმასრულებელ კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, სადაც პროტესტს აცხადებს ასპარეზიდან დაბრუნებულ რაზმების იარაღის აყრაზე. აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს პოლონეთის იმპერიალიზმის შესაძლებელ საფრთხეს და პროტესტს აცხადებს პოლონეთის მიერ გერმანიის ტერიტორიის ძალით შემოერთებაზე.

ინგლისის ჯარის წინსვლა.

ინგლისის ჯარი რეინზე წინ მიიწევს.

ფრანგები სტრასბურგში.

საფრანგეთის ჯარი სტრასბურგში შევიდა.

ავსტრიელები ბუკოვინაში.

ლიონი. 25 გიორ. ავსტრიის რუმინელებისგან შემდგარმა ჯარმა მთელი ბუკოვინა დაიჭირა. მცხოვრებნი აღელვებული არიან.

უკრაინაში.

უკრაინაში მღელვარება ფართო ხასიათს იღებს. ჩრდილო და სამხრეთ უკრაინაში აჯანყება [illegible] გამოჩნდა აჯანყებულთა რაზმი 8000 კაცისაგან შემდგარი. აჯანყებულმა ყველგან აღადგინეს საბჭოები. უკრაინის ცენტრში სკოროპადსკის წინააღმდეგ გამოვიდა პეტლიურა, რომელიც გაიდამაკელებს ხელმძღვანელობს.

პეტლიურამ დაიჭირა ეკატერინოსლავი და ლოზოვაია. პოლტავას დასაჭერად ბრძოლაა. სკოროპადსკის დასახმარებლად კრასნოვის რაზმა მოდის.

საბჭოთა ჯარი.

უნეჩა, 25 გიორგ. საბჭოთა ჯარმა სტაროდუბი დაიჭირა. ბურჟუაზია გაიქცა. მუშები ჯარს წითელი დროშებით შეეგება.

„ახალი ძალა“

კვირას გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის ჟურნალი „ახალი ძალა“. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა უშვებს ჟურნალს. აქამდის ყველა სხვა პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციებს ჰქონდათ თავიანთი ორგანო: „ახალი ძალი“-თ ასეთი ორგანო ერ.-დემოკრატებმაც გაიჩინეს. ჟურნალი სწორეთ დროზე არის გამოსული და ყველაფრიდან ეტყობა, რომ მზრუნველი ხელი და მოყვარული გული ხელმძღვანელობდა ამ საქმეს, იმედი არის, რომ ჟურნალი თავს მოუყრის პარტიულ ახალგაზრდობას და ხელს შეუწყობს მათ გათვითცნობიერებას და შეკავშირებას. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: გ. ხერხეულიძე „ახალი ძალა“,—„ახალი ძალა—სამშობლოს სიმდიდრისთვის ლონეს მოიკრებს... იგი ჰხედავს, ამ უმაგალითო დროთა ბრძოლაში საქართველოს გაკაფული სახე აქვს, მაგრამ ამავე დროს, სწამს კიდეც, რომ მის სივრცეზე არის ზოლები, რომელსაც ჯერ გმირთა სისხლი არ მოხვედრია... და ეს ზოლები სისხლით დაითხება მაშინ, როცა მთელი საქართველო გასწყდება“.

შემდეგ წერილში ვ. ზაალიშვილი ასე ახასიათებს ახალგაზრდობის პარტიულ მრწამსს:

„საქართველოს აწმყო და მომავალი, მისი აღმშენებლობა, მატერიული და სულიერ კულტურის შექმნა, ტერიტორიის, ენის და ისტორიის ხელშეუხებლობა არის ჭეშმარიტი საგანი ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებისა. ამ იდეალების გასამტკიცებლად ჩვენ გვრწამს ორი ჭეშმარიტი საშუალება: პირველი—ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და მეორე—საქართველოს სუვერენული არსებობა. ამ ორ ჭეშმარიტ საფუძველზე უნდა მტკიცდებოდეს საქართველოს ახალი ცხოვრება. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება—გადამუშავება და ვაჭრობა უნდა ხდებოდეს ეროვნული ენერგიით. ამ სფეროში სხვა რომელიმე ერის გაბატონება და საქმის სათავეში მოქცევა სიკვდილი იქნება ქართველ ერისათვის. აი ამ მოსაზრებით ვიცავთ ეროვნულ კაპიტალის შექმნას და დაგროვებას, ეროვნულისავე ბურჟუაზიის საშუალებით“.

შემდეგ დაბეჭდილია წერილები; „ახალი ძალა“ გ. კ—ლის, „მთლიანი საქართველო“ გიორგი ფერაძის, „არა სოციალისტურ ბანაკში“ გ. მერკვილაძე, „სამშობლოს ცეცხლით“ გ. გორდეზიანი, „დრამატიული ხელოვნება და ახალი მსახიობი“ მიხ. კიაზოშვილი, „სახელმწიფო უნივერსიტეტი“—გოგლი.

ლექსები: ლადო მაჭავარიანის „თამარი“, ურ. მეგრელიშვილის „საგალობელი“.

როგორც წერილები, ისე მხატვრული შენიშვნები, და ლექსები დაწერილია გულდადებით და ახალგაზრდული გატაცებით, ყველაფერი ეს იმის საწინდარია, რომ ჩვენ პარტიას „ახალი ძალა“ დაამჩნევს თავის სახეს და გაუადვილებს მუშაობას და აგრეთვე თვითონაც შექმნის მტკიცე ორგანიზაციას.

ქართული კლუბი
სცენის მოყვარეთა წრე
პირველი, ხუთშაბათი 28 გიორგობისთვე.
1. „უბედურება ნაზი გულისგან“ კომედია გრაფი ვ. სოლოგუბის
მონაწილეობენ: ე. ა. გორნაია, ნ. ი. კუტლიაროვა, ვ. ვ. ფონ-შალმან, ბარონესსა გ. ო. ტიზენგაუზენი, კ. ა. თავადი ერისთავის ასული, ი. ბ. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, ა. ი. კუდრიავცევი და ა. გ. ტარსაიძე.
2. „სამი გული“ ა. ავერჩენკო.
მონაწილეობენ: მელიტა მელენსკაია, ბ. ე. ფანჩულიძევი, ა. ი. კუდრიავცევი.
3. ბალეტი-კონცერტი: ვენიავსკი მაზურკა—შეასრულებს ო. ნ. და ი. ნ. ლინევიჩები, ფრანგული სიმღერები 17—18 საუკუნეს, შეასრულებენ ო. კეპინოვა, ვალსი შოპენის—სემიონოვა, ბარონესსა ვ. ტიზენგაუზენის დეკლარაცია.
რეჟისორები: თავ. ნ. გ. ბეგთაბეგიშვილი, ვ. ა. ენგელმან და კ. ი. ევსეევი.
პასუხისმგებელი გამგე: თამარა ი. ვახვახიშვილის ასული. 1—1896—1

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაცეთის შესახვევი № 1.